

ცნობაზე და მოქალაქეობაზე აღმსარებლისა  
მართლისა სარწმუნოებისა და წმიდისა და ნეტარისა  
მამისა ჩუენისა მამსიამისი



1. მრავლისა ქებისა და ფრიადისა შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი და მოლუაწენი სათნოებისანი, და თანამდებ არს ყოველი კაცი ქებითა და გალობითა და პატივითა აღსრულებად სახსენებელსა მათსა; რამეთუ ამას თუ ვიქმოდით, არა თუ ნეტართა მათ სარგებელ რაჲმე ვექმნებით, რამეთუ ამათ აქუს ქება მათი ღმრთისა მიერ, და შუებასა მას ზეცისასა იხარებენ, და არარად სოფლიოჲ ეხმარებინს, არამედ მაქებელნი ესე და შემასხმელნი მათნი უმეტესად თავთა თვისთა სარგებელ ვექმნებით და მსმენელთა მოქალაქობისა მათისათა ბაძვად მათისა მის სათნოებისა აღვადგინებთ. ამისთვის, კეთილ არს და სამართალ მოქალაქობისა და მოლუაწებისა წმიდათა მამათა და მოწამეთა აღწერაჲ და მათი ქებითა და გალობითა შესხმაჲ. ვინაჲთგან უკუე ნეტარი მამაჲ ჩუენი მამსიამე აღმსარებელი დიდითა სათნოებითა და მრავლითა მოლუაწებითა განბრწყინდა და შეერთო კრებულსა წმიდათა მოწამეთა და ღირსთა მამათასა, თანამდებ ვართ ღირსისა მის და საღმრთოჲსა მოქალაქობისა მისისა აღწერად და შემდგომთა ნათესავთა სახსენებელი დატეგებად.

2. ესე სანატრელი, ნერგი შუენიერი ღმრთისმსახურებისა, მორჩი ნაყოფიერი მოღვაწებისა, ჭური რჩეული სიბრძნისაჲ, იშვა და აღიზარდა დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინებოლეს; იყვნეს მშობელნი მისნი დიდებულნი და ღმრთის-მოყუარენი, და ეწოდებოდა მამასა მისსა იოვანე და დედასა ანა; ამათ აღზარდეს კეთილი იგი შვილი საღმრთოჲთა სწავლითა და ასწავეს ყოველი სიბრძნე ფილოსოფოსთა პირველთაჲ. ხოლო იყო იგი სიჩხოდთგანვე საესე შიში-

